



აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი

„დამტკიცებულია“

რექტორი

პროფ. გიორგი ონიანი

აკადემიური საბჭოს სხდომის ოქმი № 5
27 დეკემბერი 2008 წელი

„დამტკიცებულია“

დეკანი

პროფ. მერაბ შალამბერიძე

ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი № 2
12 ნოემბერი 2008 წელი

საბაკალავრო პროგრამა

გამოყენებითი დიზაინი

1. პროგრამის დასახელება: **გამოყენებითი დიზაინი**

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი: **ხელოვნების ბაკალავრი**
Bachelor of Art

3. საბაკალავრო პროგრამის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეული:

აწსუ საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი, გამოყენებითი დიზაინისა და მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგიის დეპარტამენტი, ტექსტილის ტექნოლოგიისა და დიზაინის დეპარტამენტი

4. საბაკალავრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

4.1. სპეციალიზაცია „კოსტუმის დიზაინი“

- **მიზანი და ამოცანები**

პროგრამის მიზანია: სტუდენტებს მისცეს ცოდნა ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დიზაინის, მატერიალური კულტურის ისტორიული და ტრადიციული მიმდინარეობების, კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური მიღწევებისა და თანამედროვე ნაწარმის მხატვრული დაგეგმარების შესახებ.

პროგრამის ამოცანებში შედის სტუდენტისათვის სწავლების ისეთი პროცესის ორგანიზება, რომელიც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროგრამის თავისუფალი შერჩევის უფლებას;
- ძირითადი სპეციალობის საბაზისო კურსების დაუფლებას;
- პროგრამით გათვალისწინებული საფაკულტეტო და არჩევითი კურსების შესწავლას;
- არანაკლებ ერთი უცხო ენის შესწავლას უცხოელებთან თავისუფალი კომუნიკაციის დონეზე;
- წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შეძენას;
- სასწავლო-პროფესიული პრაქტიკის გავლას და პროფესიული გამოცდილების მიღებას.

პროგრამა იძლევა სამომხმარებლო დანიშნულების პროდუქციის- ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის- დამზადების სფეროში სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო ცოდნის მიღების შესაძლებლობას. პროგრამაში მთავარი ყურადღება ექცევა თეორიული და სპეციალური ცოდნის სინთეზს.

აღნიშნულ დარგში დიდია დიზაინერის როლი ახალი, მოდური, მაღალესთეტიკური პროდუქციის შექმნისა და მაღალკონკურენტუნარიანი პროდუქციით სამომხმარებლო ბაზრის დაპყრობის მიზნით.

საბაკალავრო პროგრამა გამოყენებითი დიზაინის თანამედროვე თეორიასა და პრაქტიკას ეფუძნება.

- **აქტუალურობა.**

„გამოყენებითი დიზაინი“ („კოსტუმის დიზაინი“) საბაკალავრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალურობა განპირობებულია იმით, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს მსუბუქი მრეწველობის დარგი.

საბაკალავრო პროგრამა ტექნოლოგიის თანამედროვე თეორიასა და პრაქტიკას ეფუძნება.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს მსუბუქი მრეწველობის სპეციალისტთა მომზადების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს და შესაბამისად შესწევს უნარი უზრუნველყოს მათი მომზადება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.

- **პრაქტიკა.** სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან საქართველოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში. თვითდაფინანსების საფუძველზე შესაძლებელია პრაქტიკის გავლა უცხოეთში.

- **სწავლის შედეგი.**

ხელოვნების ბაკალავრის ხარისხი ენიჭებათ სტუდენტებს, რომლებსაც გააჩნიათ ზოგადი/ტრანსფერული და ცოდნის გამოყენების პრაქტიკული უნარები, გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ ცოდნის ყველა ასპექტი შემდეგი მიმართულებებით:

ცოდნა და გაცნობიერება.

- გააჩნიათ საბაზისო ცოდნა სპეციალურ დისციპლინებში – ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის ტექნოლოგიასა და კონსტრუირებაში;
- გაცნობიერებული აქვთ საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების მექანიზმი და მისი კანონზომიერებები;
- ფლობენ ტექნოლოგიური პროცესების კვლევის ძირითად მეთოდებს;
- აცნობიერებენ ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში მსუბუქი მრეწველობის როლს;
- ფლობენ სამკერვალო და ფეხსაცმლის საწარმოთა დაგეგმარების ძირითად პრინციპებს;
- აქვთ ისეთი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/პრაქტიკული უნარები

- ქმნიან თანამედროვე მოდის განვითარების ტენდენციების შესაბამის ნაწარმს.
- იყენებენ მსოფლიო მოდის პოპულარულ ელემენტებს და წამყვანი სამოდელიო სახლების გამოცდლებას.
- ახდენენ მოდის განვითარების პროგნოზს.
- განსაზღვრავენ ნახევარფაბრიკატებით ბაზრის მომარაგების და მასალების მიწოდების შესაძლებლობების საკითხს.
- ქმნიან სხვადასხვა სახის ტანსაცმლის და ფეხსაცმლის აქსესუარების კომპოზიციებს.
- კონსტრუქტორთან და ტექნოლოგთან ერთად მონაწილეობას იღებენ კომპოზიციის მასალაში შესრულებაში.

ზოგადი/ტრანსფერული უნარები.

- კოგნიტური უნარები: აქვთ ტექნოლოგიური პროცესების ძირითადი იდეებისა და აზრების გაგებისა და მანიპულირების შესაძლებლობა, ანალიზისა და სინთეზის უნარი;
- ტექნოლოგიური უნარები: აქვთ ტექნოლოგიური მოწყობილობების (ავტომატებისა და ნ/ავტომატების), კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისა და სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი;
- ლინგვისტური უნარები: შეუძლიათ ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ და უცხო ენებზე.

დასაქმების სფეროები.

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში და ფირმებში, როგორც დიზაინერმა, ასევე ტანსაცმლის და ფეხსაცმლის ტექნოლოგმა, მოდელიორმა და კონსტრუქტორმა. კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

- ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და ტყავსაგალანტერიო ნაწარმის საწარმოები;
- საკონსტრუქტორო ბიუროები;
- მოდელების სახლები;
- მარკეტინგული ფირმები;
- საგამოფენო დარბაზები;
- სარეკლამო სააგენტოები.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

„კოსტუმის დიზაინი“ სპეციალობის ბაკალავრიატის კურსდამთავრებული მომზადებულია საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის შესაბამის და მომიჯნავე სპეციალობებზე მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად.

4.2. სპეციალიზაცია „ტექსტილის დიზაინი“

• მიზანი და ამოცანები

პროგრამის მიზანია სტუდენტებს მისცეს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები სხვადასხვა დანიშნულების ტექსტილის და დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმის (ბატიკი, გობელენი, თექა, მხატვრული ტრიკოტაჟი) დიზაინისა და დამზადების ტექნოლოგიის სფეროში. პროგრამა უზრუნველყოფს: სპეციალობის საბაზისო კურსების დაუფლებას; არანაკლებ ერთი უცხო ენის შესწავლას; წერითი და ვერბალური კომუნიკაციის უნარ-ჩვევების შეძენას; სასწავლო-პროფესიული პრაქტიკის გავლას. პროგრამა იძლევა დიზაინის სფეროში მოღვაწეობისა და საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიან სპეციალისტად ჩამოყალიბებისათვის საჭირო თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას.

• აქტუალურობა

„გამოყენებითი დიზაინის“ („ტექსტილის დიზაინი“) საბაკალავრო პროგრამით სპეციალისტთა მომზადების აქტუალურობა განპირობებულია საქართველოში საბაზრო ურთიერთობათა დამყარებით და საქართველოს ჩართვით მსოფლიო გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობებში, რომლისთვისაც დამახასიათებელია შრომის განაწილებისა და კორპორაციის მკაცრად განსაზღვრული და რეგულირებადი პროცესი. სწორედ თანამედროვე გლობალიზაციის პროცესის და გლობალური ეკონომიკის ერთ-ერთი თავისებურებაა განვითარებად ქვეყნებში ტრადიციულ, ეროვნულ ნიადაგზე აღმოცენებული სამოდელო ბიზნესისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმის დამზადების სწრაფი და ინტენსიური განვითარება. საბაკალავრო პროგრამა დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმის დამზადების ტრადიციული და ეროვნული გამოცდილების თანამედროვე ტექნოლოგიების ჭრილში გაანალიზებისა და რეალიზაციის თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ეფუძნება.

აწსუ საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ტექსტილის ტექნოლოგიისა და დიზაინის დეპარტამენტს დიზაინის სფეროსათვის სპეციალისტების მომზადების კარგი გამოცდილება აქვს და შესაბამისად, შესწევს უნარი უზრუნველყოს მათი მომზადება საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად.

• პრაქტიკა

სტუდენტები პრაქტიკას გაივლიან დუშეთისა და კულაშის ხალიჩების საქსოვ ფაბრიკებში, ასევე ინდივიდუალურ მეწარმეთა სახელოსნოებში.

• **სწავლის შედეგი**

ხელოვნების ბაკალავრის ხარისხი ენიჭებათ სტუდენტებს, რომელთაც გააჩნიათ ზოგადი/ტრანსფერული და ცოდნის გამოყენების პრაქტიკული უნარები, გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ ცოდნის ყველა ასპექტი შემდეგი მიმართულებებით:

ცოდნა და გაცნობიერება

- გააჩნიათ საბაზისო ცოდნა ზოგად-ჰუმანიტარულ, სოციალურ-ეკონომიკურ და საბუნების-მეტყველო დისციპლინებში; სათანადო თეორიული მომზადება ჰუმანიტარულ (ფილოსოფიის, ისტორიის, პოლიტოლოგიის, სამართლის) სფეროში; ფლობენ ეკონომიკის, მარკეტინგის და მენეჯმენტის საფუძვლებს;
- ფლობენ უცხო ენას, იციან კომპიუტერული გრაფიკა და კომპიუტერული დაგეგმარების სისტემის გამოყენება;
- გაცნობიერებული აქვთ ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორია, ტექსტილის მხატვრული გაფორმების განვითარების ისტორია, ფერთამცოდნეობა და კომპოზიციის საფუძვლები;
- ფლობენ გრაფიკის, ფერწერის, პროპაგანდის საფუძვლებს;
- გააჩნიათ საფუძვლიანი ცოდნა ზოგადტექნიკურ დისციპლინებში: საფეიქრო მრეწველობის ნაწარმის მასალათმცოდნეობა, საფეიქრო მრეწველობის ნაწარმის მექანიკური და ქიმიური ტექნოლოგია, მხატვრული კოლორირების ტექნოლოგიის საფუძვლები, კომპოზიციის შესრულება მასალაში;
- გააჩნიათ საფუძვლიანი ცოდნა სპეციალობის დისციპლინებში: სპეცკომპოზიცია, პრაქტიკული კოლორირება, საფეიქრო ნახატის კომპოზიციის საფუძვლები, კოლორირების ტრადიციული (ღებვა, ჩითვა) და არატრადიციული (თავისუფალი ღებვა ბატიკი) ხერხები, დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმის (ბაკიტი, გობელენი, თექა, ტრიკოტაჟი) დამზადების ტექნოლოგიები
- აქვთ ისეთი ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომელიც მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების საშუალებას იძლევა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება/ პრაქტიკული უნარები

- საწარმოში ტექსტილისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმის შექმნის მიზნით დიზაინერის საქმიანობის პროფესიონალურად და შემოქმედებითად წარმართვა;
- ნედლეულის, დამხმარე მასალებისა და ქიმიკატების შერჩევა ტექსტილისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმის დასამზადებლად;
- მასალების მომზადებისა და უშუალოდ წარმოების ტექნოლოგიური პროცესების განხორციელება ტექსტილისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმის დასამზადებლად;
- ტრადიციული ტექსტილისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ნაწარმის:თექა, ფარდაგი, ხალიჩა, ტრიკოტაჟი, ბატიკი დამზადება;
- ქვეყნის ეროვნულ ტრადიციების, მატერიალური კულტურის ისტორიული ელემენტების პოპულარიზაცია, მოდური კოლექციის შექმნის დროს ეროვნული ნიშნებისა და ელემენტების გონივრულად და ფართოდ გამოიყენება;
- ინოვაციური საქმიანობის სტიმულირების მიზნით საწარმოს პრაქტიკულ საქმიანობაში მხატვრულ-სამეცნიერო მიღწევების დანერგვის ხელის შეუწყობა;
- ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ გამართულ მოდის ჩვენებებში მონაწილეობა და მიღებული ინფორმაციის თავის საქმიანობაში გონივრულად გამოიყენება. მოდური სამყაროს პერიოდულ გამოცემების მუდმივად გაცნობა და მათი თავის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება, შესამისი პერიოდული გამოცემის მომზადება თავისი საწარმოს პროდუქციის რეკლამირებისათვის;
- პროფესიული კვალიფიკაციის სიტემატურად ამაღლება;

- მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლების შესწავლის საფუძველზე გამოფენების, პოდიუმების, მხატვრული ნამუშევრების და მასალაში შესრულებული მოდური ნაკეთობების რეალიზების ორგანიზება;
- მონაწილეობა ქვეყნის შიგნით და გარეთ არსებულ მაპროფილებელ ორგანიზაციებთან და საწარმოებთან კონტაქტების გაფორმებაში იდეების გაცვლის, მასალების მომზადების და მზა ნაწარმის იმპორტ-ექსპორტის მიზნით. ინვენსტიციების მოზიდვა საწარმოს საქმიანობის ეფექტურობის ამაღლების და ქვეყნის გარეთ პოპულარიზაციის მიზნით.

ზოგადი/ტრანსფერული უნარები.

კოგნიტური უნარები: აქვს დიზაინერული იდეებისა და ჩანაფიქრის გაგებისა და მანიპულირების შესაძლებლობა, ინფორმაციის ანალიზისა და სინთეზის უნარი;

ტექნოლოგიური უნარები: აქვს ტექსტილის ნაწარმის დამზადების ტექნოლოგიური პროცესების განხორციელების უნარი; კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებისა და ინფორმაციის მართვის უნარი; სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მიღების, დამუშავებისა და ანალიზის უნარი;

სოციალური უნარები: აქვს პოლიტიკური, ეკონომიკური და ინტერპერსონალური ურთიერთობების, ჯგუფური მუშაობის, სოციალური და ესთეტიკური პასუხისმგებლობის უნარი;

ლინგვისტური უნარები: შეუძლია ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია მშობლიურ და უცხო ენაზე.

• დასაქმების სფეროები

ბაკალავრიატის კურსდამთავრებულს შეუძლია იმუშაოს დიზაინერად სახელმწიფო და კერძო ბიზნეს-სტრუქტურებსა და ფირმებში. მისი საქმიანობა უკავშირდება საწარმოს მუშაობის ეფექტურობის ამაღლებას; ახალი, მოდური, პროგრესული, მაღალესთეტიკური პროდუქციის შექმნას; პროდუქციის მაღალი კონკურენტუნარიანობით სამომხმარებლო ბაზრის დაპყრობის მიზანს; ქვეყნის კულტურული ტრადიციების პოპულარიზებას; საინტერესო და სანახაობრივად მაღალეფექტური ჩვენებების – პოდიუმების მოწყობით ახალგაზრდობის მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას.

კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:

დეკორატიულ- გამოყენებითი ნაწარმის საწარმოები,

სამოდელი სახლები,

მარკეტინგულ-სავაჭრო ფირმები,

საექსპერტო განყოფილებები,

საგამოფენო დარბაზები,

სარეკლამო სააგენტოები,

საკვლევ-სასწავლო ორგანიზაციები.

• სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

ბაკალავრი მომზადებულია სწავლის გასაგრძელებლად მაგისტრატურაში შემდეგი სპეციალობებით:

- ტექნოლოგია – დიზაინი
- მხატვარ-დიზაინერი;
- სარეკლამო აგენტი;
- დიზაინერ-კონსტრუქტორი;
- დიზაინერ-მენეჯერი.

5. საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული საშუალო განათლების მქონე პირი. კონკურსანტი აბარებს მისაღებ გამოცდებს ეროვნულ საგამოცდო ცენტრში საკონსურსო საგამოცდო პროგრამის მოცულობით.

6. პროგრამის სტრუქტურა

სპეციალიზაციები: 1. კოსტუმის დიზაინი; 2. ტექსტილის დიზაინი

№	კურსი	სკ	ლ./პრ./ს/ლაბ.	კრედიტთა რაოდენობა	სემესტრები								წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები (10 კრედიტი)													
1	უცხო ენა 1	3	0.3.0.0.	5		5							
2	უცხო ენა 2	3	0.3.0.0.	5			5						
საფაკულტეტო სავალდებულო კურსები (105 კრედიტი)													
1	ინფორმატიკა და კომპიუტერული გრაფიკა-1	3	1.1.0.1.	5	5								
2	ინფორმატიკა და კომპიუტერული გრაფიკა-2	3	1.1.0.1.	5		5							
3	ხელოვნებისა და კულტურის ისტორია-1	3	1.2.0.0.	5	5								
4	ხელოვნებისა და კულტურის ისტორია-2	3	1.2.0.0.	5		5							
5	გრაფიკა-1	3	0.3.0.0.	5	5								
6	გრაფიკა-2	3	0.3.0.0.	5		5							
7	გრაფიკა-3	1.5	0.3.0.0.	2,5			2,5						
8	გრაფიკა-4	1.5	0.3.0.0.	2,5				2,5					
9	ფერწერა-1	3	0.3.0.0.	5	5								
10	ფერწერა-2	3	0.3.0.0.	5		5							
11	ფერწერა-3	1.5	0.3.0.0.	2,5			2,5						
12	ფერწერა-4	1.5	0.3.0.0.	2,5				2,5					
13	კოსტუმის განვითარების ისტორია	3	1.2.0.0.	5	5								
14	მხაზველობითი გეომეტრია და ტექნიკური ხატვა	3	1.0.0.2.	5	5								
15	არქიტექტონიკა და სტრუქტურა სივრცეში-1	3	0.3.0.0	5			5						
16	არქიტექტონიკა და სტრუქტურა	3	0.3.0.0	5				5					

	სივრცეში-2												
17	ქსოვილების მხატვრული გაფორმების ისტორია	3	1.2.0.0.	5		5							
18	მენეჯმენტი-1	3	1.2.0.0.	5			5						
19	მენეჯმენტი-2	3	1.2.0.0.	5				5					
20	ფერთა თეორია	3	1.0.0.2.	5			5						
21	პროპადევტიკა	3	0.3.0.0.	5				5					
22	სასწავლო პრაქტიკა		0.3.0.0.	5				5					
23	საწარმოო პრაქტიკა		0.3.0.0.	5						5			
საფაკულტეტო არჩევითი კურსები (10 კრედიტი)													
1	ქართული ენის სტილისტიკა და მეტყველების კულტურა-1	3	1.2.0.0.	5			5						
2	ქართული ენის სტილისტიკა და მეტყველების კულტურა-2	3	1.2.0.0.	5				5					
3	ფილოსოფია-1	1.5	1.0,5.0.0.	2.5			2.5						
4	ფილოსოფია-2	1.5	1.0,5.0.0.	2.5				2.5					
6	პოლიტოლოგია-1	1.5	1.0,5.0.0.	2.5			2.5						
7	პოლიტოლოგია-2	1.5	1.0,5.0.0.	2.5				2.5					
8	საქართველოს ისტორია-1	3	1.2.0.0.	5			5						
9	საქართველოს ისტორია-2	3	1.2.0.0.	5				5					
10	საგანგებო სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა-1	1.5	1.0,5.0.0.	2.5			2.5						
11	საგანგებო სიტუაციები და სამოქალაქო თავდაცვა-2	1.5	1.0,5.0.0.	2.5				2.5					
სპეციალობის სავალდებულო კურსები (110 კრედიტი) (კოსტუმის დიზაინი)													
1	გამოყენებითი ანტროპოლოგია-1	3	1.0.0.2.	5					5				
2	გამოყენებითი ანტროპოლოგია-2	3	1.0.0.2.	5						5			
3	სამკერვალო ნაკეთობათა მასალათმცოდნეობა	3	1.0.0.2.	5					5				
4	სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია-1	3	1.0.0.2.	5					5				

5	სამკერვალო ნაკეთობათა ტექნოლოგია-2	4.5	1,5.0.0.3.	7.5						7.5		
6	ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია-1	3	1.0.0.2.	5					5			
7	ტყავის ნაკეთობათა ტექნოლოგია-2	4.5	1,5.0.0.3.	7.5							7.5	
8	ტყავის ნაკეთობათა მასალათმცოდნეობა	3	1.0.0.2.	5					5			
9	სამკერვალო ნაკეთობათა კონსტრუირება-1	3	1.0.0.2.	5				5				
10	სამკერვალო ნაკეთობათა კონსტრუირება -2	4.5	1,5.0.0.3.	7.5						7.5		
11	ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება-1	3	1.0.0.2.	5					5			
12	ტყავის ნაკეთობათა კონსტრუირება-2	4.5	1,5.0.0.3.	7.5							7.5	
13	სპეცკომპოზიცია-1	3	0.3.0.0.	5				5				
14	სპეცკომპოზიცია-2	1.5	0.1,5.0.0.	2.5					2.5			
15	სპეცკომპოზიცია-3	1.5	0.1,5.0.0.	2.5						2.5		
16	სპეცკომპოზიცია-4	3	0.3.0.0.	5							5	
17	გრაფიკა სპეციალობის მიხედვით-1	3	0.3.0.0.	5				5				
18	გრაფიკა სპეციალობის მიხედვით-2	1.5	0.1,5.0.0.	2.5					2.5			
19	გრაფიკა სპეციალობის მიხედვით-3	1.5	0.1,5.0.0.	2.5						2.5		
20	გრაფიკა სპეციალობის მიხედვით-4	3	0.3.0.0.	5							5	
21	კომპოზიციის შესრულება მასალაში-1	3	0.3.0.0.	5						5		
22	კომპოზიციის შესრულება მასალაში-2	3	0.3.0.0.	5							5	
სპეციალობის არჩევითი კურსები (5 კრედიტი)												
1	პლასტიკური ანატომია	3	0.3.0.0.	5						5		
2	სპეცნახატი	3	0.3.0.0.	5						5		
3	რთული მოდელების პროექტირება	3	0.3.0.0.	5						5		

პროგრამის კომპონენტები

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსი (უცხო ენა)	10		5	5						
საფაკულტეტო კურსები	სავალდებულო კურსები	105	30	25	20	25				
	არჩევითი კურსები	10			5	5				
სპეციალობის კურსები	სავალდებულო კურსები	110					30	30	25	30
	არჩევითი კურსები	5							5	
სულ		240	30	30	30	30	30	30	30	30

სპეციალობის სავალდებულო კურსები (110 კრედიტი) (ტექსტილის დიზაინი)											
1	კომპოზიციის შესრულება მასალაში-1	1.5	0.1,5.0.0.	2.5					2.5		
2	კომპოზიციის შესრულება მასალაში-2	1.5	0.1,5.0.0.	2.5					2.5		
3	კომპოზიციის შესრულება მასალაში-3	5	0.3.0.0.	5						5	
4	კომპოზიციის შესრულება მასალაში-4	5	0.3.0.0.	5							5
5	ნედლეულის წარმოების ტექნოლოგია	1.5	1.0.0.0,5.	2.5					2.5		
6	უქსოვადი ხალიჩები	3	1.0.0.2.	5					5		
7	სპეცკომპოზიცია	3	0.3.0.0.	5					5		
8	მასალათმცოდნეობა	3	1.0.0.2.	5					5		
9	ფერწერა და ხატვა-1	3	0.3.0.0.	5					5		
10	ფერწერა და ხატვა-2	1.5	0.1,5.0.0.	2.5						2.5	
11	ფერწერა და ხატვა-3	1.5	0.1,5.0.0.	2.5							2.5
12	ფერწერა და ხატვა-4	3	0.3.0.0.	5							5
13	საფეიქრო ნახატის კომპოზიციის საფუძვლები-1	3	0.3.0.0.	5					5		
14	საფეიქრო ნახატის კომპოზიციის საფუძვლები-2	1.5	0.1,5.0.0.	2.5						2.5	
15	საფეიქრო ნახატის კომპოზიციის საფუძვლები-3	1.5	0.1,5.0.0.	2.5							2.5
16	საფეიქრო ნახატის კომპოზიციის საფუძვლები-4	3	0.3.0.0.	5							5
17	საფეიქრო მასალების(ტექსტილის) მომზადება კოლორირებისათვის	6	2.0.0.4.	10						10	

18	დეკორატიული ქსოვა	1.5	1.5.0.0.3.	7.5						7.5		
19	საფეიქრო მასალების(ტექსტილის) კოლორირების საფუძვლები	6	2.0.0.4.	10							10	
20	ტრიკოტაჟის მხატვრული გაფორმება	6	2.0.0.4.	10							10	
21	ხალხური რეწვის ტექნოლოგიები	6	1.0.0.5.	10								10
სპეციალობის არჩევითი კურსები (5 კრედიტი)												
1	ფასონური ნართის წარმოება	3	1.0.0.2.	5							5	
2	ქსოვილების მხატვრული გაფორმება	3	0.3.0.0.	5							5	

პროგრამის კომპონენტები

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსი (უცხო ენა)		10		5	5							
საფაკულტეტო კურსები	სავალდებულო კურსები	105	30	25	20	25						
	არჩევითი კურსები	10			5	5						
სპეციალობის კურსები	სავალდებულო კურსები	110					30	30	25	30		
	არჩევითი კურსები	5							5			
სულ		240	30	30	30	30	30	30	30	30	30	

გამოყენებულ შემოკლებათა განმარტება:

სკ - საათი კვირაში

ლ/პ/ს/ლაბ. - ლექცია/პრაქტიკული/სემინარი/ლაბორატორიულ

7. პროგრამით გათვალისწინებული კურსების მოკლე ანოტაციები.

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები (10 კრედიტი)

კურსის კოდი - HEB0410

უცხო ენა(ინგლისური)- 1 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ნეიტრალური მეტყველების ბგერების, ინტონაციების, აქცენტაციებისა და რითმის სპეციფიკა შესასწავლ ენაში; მთლიანი სტილის ძირითადი თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია პროფესიული კომუნიკაციის სფეროსმათვის; ტრანსკრიპციის კითხვა; ლექსიკური მინიმუმი საერთო და ტერმინოლოგიური ხასიათის 4000. სასწავლო ლექსიკური ერთეულის მოცულობით; ლექსიკის დიფერენციაციის ცნება გამოყენების სფეროების მიხედვით (საყოფაცხოვრებო ტერმინოლოგიური, ზოგად-სამეცნიერო ოფიციალური და სხვა); თავისუფალი და მყარი სიტყვათშეთანხმებების ფრაზოლოგიური ერთეულების ცნება; სიტყვათწარმოების ძირითადი მეთოდების ცნება.

გრამატიკული ჩვევები, რომლებიც უზრუნველყოფს საერთო ხასიათის კომუნიკაციას აზრის დამახინჯების გარეშე წერითი და ზეპირი ურთიერთობისას; ძირითადი გრამატიკული მოვლენები, რომლებიც დამახასიათებელია პროფესიული ენისათვის; ყოველდღიურ-ლიტერატურული, ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო სტილის, მხატვრული ლიტერატურის სტილის ცნებები, შესასწავლი ენის ქვეყნების კულტურა და ტრადიციები, სამეტყველო ეთიკეტის წესები;

კურსის შესწავლის წინაპირობაა სასკოლო განათლება.

კურსის კოდი - HEB0430

უცხო ენა(ინგლისური) -2 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: საუბარი; დიალოგიური და მონოლოგიური მეტყველება უფრო გამოსაყენებელი და შედარებით უბრალო ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებების გამოყენებით ძირითად საკომუნიკაციო არაოფიციალური და ოფიციალური ურთიერთობის სიტუაციებში; საჯარო მეტყველების საფუძვლები (ზეპირი ცნობები, მოხსენება); აუდირება; დიალოგიური და მონოლოგიური მეტყველების გამოყენება საყოფაცხოვრებო და პროფესიული კომუნიკაციის სფეროში; კითხვა; ტექსტების სახეობები; არართული (მარტივი) გრამატიკული ტექსტები და ტექსტები ფართო და ვიწრო პროფილის სპეციალობის მიხედვით;

წერა; სამეტყველო ნაწარმოებების სახეობები: ანოტაცია, რეფერატი, თეზისები, ცნობები, კერძო წერილები, საქმიანი წერა, ბიოგრაფია.

კურსის ათვისების წინაპირობაა „უცხო ენა“ 1 ათვისება.

კურსის კოდი - HEB1230

უცხო ენა(გერმანული)- 1 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ნეიტრალური მეტყველების ბგერების, ინტონაციების, აქცენტაციებისა და რითმის სპეციფიკა შესასწავლ ენაში; მთლიანი სტილის ძირითადი თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია პროფესიული კომუნიკაციის სფეროსმათვის; ტრანსკრიპციის კითხვა; ლექსიკური მინიმუმი საერთო და ტერმინოლოგიური ხასიათის 4000. სასწავლო ლექსიკური ერთეულის მოცულობით; ლექსიკის დიფერენციაციის ცნება გამოყენების სფეროების მიხედვით (საყოფაცხოვრებო ტერმინოლოგიური, ზოგად-სამეცნიერო ოფიციალური და სხვა); თავისუფალი და მყარი სიტყვათშეთანხმებების ფრაზოლოგიური ერთეულების ცნება; სიტყვათწარმოების ძირითადი მეთოდების ცნება.

გრამატიკული ჩვევები, რომლებიც უზრუნველყოფს საერთო ხასიათის კომუნიკაციას აზრის დამახინჯების გარეშე წერითი და ზეპირი ურთიერთობისას; ძირითადი გრამატიკული მოვლენები, რომ-

ლებიც დამახასიათებელია პროფესიული ენისათვის; ყოველდღიურ-ლიტერატურული, ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო სტილის, მხატვრული ლიტერატურის სტილის ცნებები, შესასწავლი ენის ქვეყნების კულტურა და ტრადიციები, სამეტყველო ეთიკეტის წესები;
კურსის შესწავლის წინაპირობაა სასკოლო განათლება.

კურსის კოდი - HEB1240

უცხო ენა(გერმანული) -2 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: საუბარი; დიალოგური და მონალოგიური მეტყველება უფრო გამოსაყენებელი და შედარებით უბრალო ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებების გამოყენებით ძირითად საკომუნიკაციო არაოფიციალური და ოფიციალური ურთიერთობის სიტუაციებში; საჯარო მეტყველების საფუძვლები (ზეპირი ცნობები, მოხსენება); აუდირება; დიალოგური და მონალოგიური მეტყველების გამოყენება საყოფაცხოვრებო და პროფესიული კომუნიკაციის სფეროში; კითხვა; ტექსტების სახეობები; არართული (მარტივი) გრამატიკული ტექსტები და ტექსტები ფართო და ვიწრო პროფილის სპეციალობის მიხედვით;

წერა; სამეტყველო ნაწარმოებების სახეობები: ანოტაცია, რეფერატი, თეზისები, ცნობები, კერძო წერილები, საქმიანი წერა, ბიოგრაფია.

კურსის ათვისების წინაპირობაა „უცხო ენა” 1 ათვისება.

კურსის კოდი - HEB0880

უცხო ენა(ფრანგული)- 1 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ნეიტრალური მეტყველების ბგერების, ინტონაციების, აქცენტაციებისა და რითმის სპეციფიკა შესასწავლ ენაში; მთლიანი სტილის ძირითადი თავისებურებანი, რომლებიც დამახასიათებელია პროფესიული კომუნიკაციის სფეროსმათვის; ტრანსკრიპციის კითხვა; ლექსიკური მინიმუმი საერთო და ტერმინოლოგიური ხასიათის 4000. სასწავლო ლექსიკური ერთეულის მოცულობით; ლექსიკის დიფერენციაციის ცნება გამოყენების სფეროების მიხედვით (საყოფაცხოვრებო ტერმინოლოგიური, ზოგად-სამეცნიერო ოფიციალური და სხვა); თავისუფალი და მყარი სიტყვათშეთანხმებების ფრაზოლოგიური ერთეულების ცნება; სიტყვათწარმოების ძირითადი მეთოდების ცნება.

გრამატიკული ჩვევები, რომლებიც უზრუნველყოფს საერთო ხასიათის კომუნიკაციას აზრის დამახინჯების გარეშე წერითი და ზეპირი ურთიერთობისას; ძირითადი გრამატიკული მოვლენები, რომლებიც დამახასიათებელია პროფესიული ენისათვის; ყოველდღიურ-ლიტერატურული, ოფიციალურ-საქმიანი, სამეცნიერო სტილის, მხატვრული ლიტერატურის სტილის ცნებები, შესასწავლი ენის ქვეყნების კულტურა და ტრადიციები, სამეტყველო ეთიკეტის წესები;

კურსის შესწავლის წინაპირობაა სასკოლო განათლება.

კურსის კოდი - HEB0900

უცხო ენა(ფრანგული) -2 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: საუბარი; დიალოგური და მონალოგიური მეტყველება უფრო გამოსაყენებელი და შედარებით უბრალო ლექსიკურ-გრამატიკული საშუალებების გამოყენებით ძირითად საკომუნიკაციო არაოფიციალური და ოფიციალური ურთიერთობის სიტუაციებში; საჯარო მეტყველების საფუძვლები (ზეპირი ცნობები, მოხსენება); აუდირება; დიალოგური და მონალოგიური მეტყველების გამოყენება საყოფაცხოვრებო და პროფესიული კომუნიკაციის სფეროში; კითხვა; ტექსტების სახეობები; არართული (მარტივი) გრამატიკული ტექსტები და ტექსტები ფართო და ვიწრო პროფილის სპეციალობის მიხედვით;

წერა; სამეტყველო ნაწარმოებების სახეობები: ანოტაცია, რეფერატი, თეზისები, ცნობები, კერძო წერილები, საქმიანი წერა, ბიოგრაფია.

კურსის ათვისების წინაპირობაა „უცხო ენა” 1 ათვისება.

კურსის კოდი -HSB0500

რუსული ენა-1 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ფონეტიკური კურსი: ასო «О» უმახვილო პოზიციები, ასოები я , е, ё, ю სიტყვის დასაწყისში, ასო-ბგერა [х] მაგარი თანხმოვანების შემდეგ, თანხმოვანი ბგერები [л], [л'], [д], [д'], [т], [т'], [н], [н'].

გრამატიკის კურსი: ნათესაობითი ბრუნვის გამოყენება რიცხვით სახელებთან შეეთანხმებაში, კრებითი რიცხვითი სახელების გამოყენების წესი, მოძრაობის აღმნიშვნელი ზმნები და მათი გამოყენება გადატანითი მნიშვნელობით, ზედსართავი სახელებისა და ზმნიზედების შედარებითი ხარისხები, ზმნა, ზმნის ასპექტი.

კურსის ათვისების წინაპირობაა სასკოლო განათლება.

კურსის კოდი - HSB0510

რუსული ენა-2 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ფონეტიკური კურსი: შიშინა თანხმოვანი ბგერები [ж], [ш], [ч'], [ш'], [ч] რუსულ ენაში.

გრამატიკის კურსი: კონსტრუქციული ზმნა «быть» გამოყენებით, აბსოლუტივის წარმოება და გამოყენება, მოქმედებითი და ვნებითი კონსტრუქციების წარმოება და გამოყენება, მოქმედებითი და ვნებითი კონსტრუქციების წარმოება და გამოყენება, მიზნობრივ-მიზეზობრივი კავშირების წარმოება - то, -лини, -нибудь ნაწილაკების მეშვეობით, პირდაპირი და ირიბი თქმა. უპირო წინადადებები, რთული ქვეწყობილი წინადადება კავშირების хотя და несмотря на გამოყენებით, სასვენი ნიშნები რთულ წინადადებაში.

კურსის ათვისების წინაპირობაა „რუსული ენა“ 1 ათვისება.

პროგრამული მიმართულების – გამოყენებითი დიზაინი

სავალდებულო კურსი – 105კრედიტი

კურსის კოდი - QAB0130

ინფორმატიკა და კომპიუტერული გრაფიკა- 1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ზოგადი ცნობები. კომპიუტერები თანამედროვე საზოგადოებაში. კომპიუტერული რეგოლუცია. კომპიუტერების გამოყენების მაგალითები. კომპიუტერული სისტემის ზოგადი აღწერა. ტერმინები. სოფთუერის კატეგორიები. პერსონალური კომპიუტერის სოფთუერის აღწერა. პერსონალური კომპიუტერის ჰარდუერის ძირითადი კომპონენტები. მონაცემთა დამმუშავებელი ჰარდუერი. ცენტრალური პროცესორი და ძირითადი მეხსიერება. პერსონალური კომპიუტერის ჩიპები. მონაცემთა დამმუშავების სიმძლავრის შეფასება. მონაცემთა შემტანი და გამომტანი ჰარდუერი. მონაცემთა შემნახველი ჰარდუერი. მონაცემთა იერარქია მონაცემთა შემნახველი საშუალებები.

კურსის ათვისების წინაპირობაა სასკოლო განათლება.

კურსის კოდი - QAB0150

ინფორმატიკა და კომპიუტერული გრაფიკა 2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: კომპიუტერული გრაფიკის სახეები. რასტრული გრაფიკის არსი. ბიტური მატრიცა, გამოსახულება ნახევარტონებში. ფერთი სიღრმე. გამოსახულების ზომა. გარჩევადობა. რასტრირების მეთოდები. დინამიკური დიაპაზონი. გამოსახულების პარამეტრებსა და ფაილის ზომას შორის კავშირი მასშტაბირება ვექტორული გრაფიკის არსი. მონაცემთა შეკუმშვის თეორიული საფუძვლები. შეკვეცადი მეთოდების ალგორითმები. შეკუმშვის ალგორითმი დანაკარგით. JPEG ალგორითმი. გრაფიკული მონაცემების შენახვის ფორმატები . ფერწარმოქმნა. ფერი. გამოსხივების სპექტრული

შედგენილობა. ფერის აღქმა. ფერის ბუნება. ფერის მახასიათებლები. სინათლის გავლენა ფერზე ფერების შეხამების ჰარმონიულობა. კომპიუტერში ფერების წარმოდგენის თავისებურებები. ფერის აღწერა. გრასმანის კანონები. საერთაშორისო კოლორიმეტრიული სისტემა. ადიტიური მოდელები. CMYK მოდელი. პერცეფციული მოდელები. ფერებად დაყოფა. სრულფერებიანი გამოსახულება. ინდექსირებული ფერი. ფერების პალიტრა. ფერების ზუსტი წარმოსახვის პრობლემები სამგანზომილებიანი მოდელირება. მისი შესაძლებლობები. კარკასული. ზედაპირული და მყარსხეულებრივი მოდელები. C-Rep და B-Rep მოდელების აგება. გრაფიკული ინფორმაციის შეტანა-გამოტანის მოწყობილობები. შეტანა-გამოტანასთან დაკავშირებული ტიპიური პრობლემები

კურსის ათვისების წინაპირობაა „ინფორმატიკა და კომპიუტერული გრაფიკა“-1 ათვისება.

კურსის კოდი - TLB0600

ხელოვნებისა და კულტურის ისტორია-1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: მსოფლიო ხელოვნებისა და კოსტიუმის ისტორიის საგანი. ხელოვნების, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების რაობა, მხატვრული ასახვის სპეციფიკა, ხელოვნების წარმოშობის სხვადასხვა თეორიები. ხელოვნების სოციალური ფუნქციები, ხელოვნების სახეები და ჟანრები. ხელოვნების პირველადი ფორმების წარმოშობა, მათი ევოლუციური ხაზების, ანტიკური სამყაროს (ბერძნულ-რომაული ხელოვნება), შუა საუკუნეების დასავლეთევროპული ხელოვნება. გაანალიზდება ყველა ეპოქების სახასიათო ტენდენციები, ხელოვნების ნიმუშები, ოსტატთა შემოქმედება.

კურსის ათვისების წინაპირობაა სასკოლო განათლება.

კურსის კოდი - TLB0610

ხელოვნებისა და კულტურის ისტორია-2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: აღორძინების ეპოქის ხელოვნების (იტალია) მე-17 საუკუნის წამყვანი ევროპული სკოლების და მათი უდიდესი წარმომადგენლების ხელოვნება (იტალია, ესპანეთი, ფლანდრია, ჰოლანდია. საფრანგეთი), ახალი და უახლესი დროის ოსტატთა შემოქმედება. ძველი სამყაროსა და ევროპული კოსტიუმის განვითარების გზები (მამაკაცისა და ქალის კოსტიუმების ძირითადი ფორმები, თავსაბურავები, სამკაულები, კოსმეტიკა) მე-20 საუკუნის ჩათვლით. გაანალიზდება კოსტიუმის ისტორიის ძირითადი ტენდენციები და თანამედროვე ოსტატთა შემოქმედება.

კურსის ათვისების წინაპირობაა „ხელოვნებისა და კულტურის ისტორია 1“ ათვისება.

კურსის კოდი - TLB0110

გრაფიკა- 1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: გრაფიკული გამოსახვის საშუალებები. ხაზი, წერტილი, შტრიხი, ლაქა. ზედაპირის მოცულობისა და ფორმის შტრიხით გადმოცემის უნარის დაუფლება. შუქი, ჩრდილი, ნახევარტონი, რაფლექსი. მოცულობის გამოსახვის პრინციპი შუქჩრდილის გამოყენებაზე. სხვადასხვაგვარი ტონალობის შტრიხი. გამოსახვის ხერხები. მოცულობის სხვადასხვაგვარი მანერით ამოსახვის მეთოდები. პერსპექტივის კანონზომიერებანი, და მათი პრაქტიკული შესწავლა და გამოყენება. მარტივი კომპოზიციები თაბაშირის გეომეტრიული ფიგურებით. მათი სწრაფი ჩანახატების შესრულების მეთოდები. თაბაშირის მარტივი რელიეფის გამოსახვის ხერხები. საყოფაცხოვრებო საგნებისა (დოქი, ბოთლი, ვაზა, ჩაიდანნი, სხვადასხვა ჭურჭელი და ა.შ.) და დრაფირების ხატვა სხვადასხვა მდგომარეობაში და სხვადასხვა ხედიდან. ზედაპირის სხვადასხვა ფაქტურების (ლითონი, მინა, თიხა, ფაიფური, ქსოვილი, ხე და ა.შ.) გამოსახვის ხერხები და მეთოდები.

კურსის ათვისების წინაპირობაა სასკოლო განათლება

კურსის კოდი - TLB0120

გრაფიკა-2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: თავის ქალის პროპორციები. თაბაშირის თავის ხატვის ხერხები და სწრაფი ჩანახატების შესრულების უნარის გამომუშავება. თავის ქალის ხატვა სხვადასხვა ხედებში. ხელის მტევნის ხატვის უნარის დაუფლება ხელის სწრაფი ჩანახატების შესრულება. მტევნის პროპორციების შესწავლა. თაბაშირის ხელის სწრაფი ჩანახატების შესრულება-სხვადასხვა ხედებში და სხვადასხვა რაკურსით. ფეხის ტერფის პროპორციების შესწავლა. ფეხის სწრაფი ჩანახატების შესრულება ნატურიდან. თაბაშირის ფეხის ხატვა სხვადასხვა რაკურსითა და სხვადასხვა ხედებში. სახის ნაწილების პროპორციები. ტუჩის პროპორციები. თაბაშირის ტუჩის სწრაფი ჩანახატები. თაბაშირის ტუჩის ხატვა სხვადასხვა ხედებში. ნატურიდან ტუჩის სწრაფი ჩანახატების შესრულების ხერხები. თაბაშირის ცხვირის სწრაფი ჩანახატები. თაბაშირის ცხვირის ხატვის ხერხები და მეთოდები. თაბაშირის თვალის სწრაფი ჩანახატები სხვადასხვა რაკურსით. თაბაშირის თვალის ხატვა. თვალის სწრაფი ჩანახატები ცოცხალი ნატურიდან.

კურსის ათვისების წინაპირობაა „გრაფიკა-1“ ათვისება.

კურსის კოდი - TLB0130

გრაფიკა-3 (2,5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: თავის ანატომიის გაცნობა. თაბაშირის თავის სწრაფი ჩანახატები ხერხები სხვადასხვა ხედებში და სხვადასხვა რაკურსით. თაბაშირის თავის შიგა სტრუქტურის შეცნობა. თავის კვეთების წარმოდგენა. თავის პროპორციული დანაწევრების კანონზომიერებანი და მათი გამოყენება ხატვისას. ფორმის პერსპექტიული შემცირების გათვალისწინება სხვადასხვა რაკურსით ხატვისას. თაბაშირის ანტიკური ქანდაკება – «დორიფორის» სწრაფი ჩანახატების შესრულება სხვადასხვა ხედებში და განსხვავებული რაკურსით. თაბაშირის ანტიკური ქანდაკება «ვენერას» თავის სწრაფი ჩანახატები. «ვენერას» ხატვა სხვადასხვა რაკურსით. თაბაშირის სხვადასხვა ანტიკური ქანდაკებების თავების სწრაფი ჩანახატები და მათი ხატვა სხვადასხვა ხედებში.

კურსის ათვისების წინაპირობაა „გრაფიკა-2“ ათვისება.

კურსის კოდი - TLB0140

გრაფიკა-4 (2,5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ცოცხალი ნატურიდან თავის სწრაფი ჩანახატების შესრულების ხერხები. ცოცხალი ნატურიდან თავის პროპორციებზე დაკვირვების უნარის ათვისება. თავის ფასში, პროფილსა და სამ-მეოთხედ ხედში ხატვის პრინციპები. თავის პროპორციების ცვლილება ჰორიზონტის ხაზის გადაადგილების დროს. თვალის ღერძის ფორმის ცვლილება, ცხვირის სიგრძისა და ფორმის ცვლილება და ა.შ. რაკურსის შეცვლისას. პორტრეტის შესრულება ცოცხალი ნატურიდან ადამიანის პორტრეტის ხატვა წარმოდგენით. პორტრეტის შესრულება მახსოვრობით. ადამიანის ფიგურეს სწრაფი ჩანახატები ადამიანის ფიგურის პროპორციის შესწავლა. კლასიკური ხელივლების კანონების გაცნობა.

კურსის ათვისების წინაპირობაა „გრაფიკა-3“ ათვისება.

კურსის კოდი - TLB0560

ფერწერა-1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: მარტივი ნატურმორტი: აგება ფანქარში, ფერის დადების პირველი ეტაპი; პერსპექტიული სახეცვლილებები დაფერვის დროს; ნატურმორტის შესრულების დამამთავრებელი ეტაპი. შედარებით რთული ნატურმორტი: აგება ფანქარში; ფერის დადების დაწყებითი ეტაპი; ფერის დადების საბოლოო ეტაპი.

კურსის ათვისების წინაპირობაა სასკოლო განათლება

კურსის კოდი - TLB0570

ფერწერა-2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ნატურმორტი ყვავილებითა და დრაპირებით: აგება ფანქარში; ფერის დადების საწყისი ეტაპი; ფერის დადების საბოლოო ეტაპი. ნატურმორტი სხვადასხვა ფორმის ბოთლების კომპოზიციით: აგება ფანქარში; ფერის დადება აკვარელით ან გუაშის საღებავებით.

კურსის ათვისების წინაპირობაა „ფერწერა-1“ ათვისება.

კურსის კოდი - TLB0580

ფერწერა-3 (2,5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: რთული ნატურმორტი ქართული საყოფაცხოვრებო საგნებით: აგება ფანქარში; საგნის ფორმათა ფერში გადმოცემა. შემოგომის რთული ნატურმორტი: აგება ფანქარში; შესრულება ფერში.

კურსის ათვისების წინაპირობაა „ფერწერა-2“ ათვისება.

კურსის კოდი - TLB0590

ფერწერა-4 (2,5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: რთული მოცემულობა სამფერიანი მოფარდვით და ქართული საყოფაცხოვრებო საგნებით, ხილით ან ბოსტნეულით: აგება ფანქარში, შესრულების დაწყება ფერში, ნამუშევრის დასრულების საბოლოო ეტაპი. ეტიუდი ჩანახატები: აგება ფანქარში; ფერწერაში განზოგადების გამოყენება.

კურსის ათვისების წინაპირობაა „ფერწერა-3“ ათვისება.

კურსის კოდი - TLB0190

კოსტუმის განვითარების ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: საერთო ცნობები ტანსაცმლის და ფეხსაცმლის განვითარების ისტორიის შესახებ. თანამედროვე კოსტუმისა და ფეხსაცმლის ტერმინოლოგია და ასორტიმენტის დახასიათება. კოსტუმის და ფეხსაცმლის მხატვრული დაგეგმარება და კონსტრუქციის ელემენტები. კოსტუმისა და ფეხსაცმლის ფორმა და კონსტრუქცია, მათი სტრუქტურა და განვითარება. ძველი მსოფლიოს და შუა საუკუნეების აღმოსავლური და ევროპული კონსტრუქციები. მე-17 და მე-20 საუკუნის ევროპული კონსტრუქციები და მათში მიმდინარე რეფორმები. ხალხური კოსტუმის კონსტრუქციების განვითარება. კოსტუმის კონსტრუქციის განვითარების პერსპექტივები, მოდა და კოსტუმი. ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წარმოების იარაღებისა და შრომის საგნების განვითარების ძირითადი ეტაპები. ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის მომავლის კონსტრუქციების პროგნოზირება.

კურსის ათვისების წინაპირობაა სასკოლო განათლება

კურსის კოდი - QAB0150

მხაზველობითი გეომეტრია და ტექნიკური ხატვა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ცნება პროექტირების, გეომეტრიული ნიმუშების პროექციის, პოზიციური ამოცანების, მეტრული ამოცანების, აქსონომეტრიული პროექციის მეთოდების შესახებ ბუნებაში რეალურად არსებული ობიექტების სივრცითი და ბტყელი გამოსახულებების შედგენა მხ. გეომეტრიის მეთოდებით და მათი ნახაზების გაფორმება შესაბამისი სტანდარტებით.

გამოსახულება- ხედი, ჭრილი, კვეთა. გამოტანითი ელემენტების ნაწილების (დეტალების) ფორმების ბრტყელი და სივრცითი გამოსახულებების აგების გეომეტრიული საფუძვლები. აქსონომეტრიული ნახაზები და ტექნიკური ნახატები. ნაწილების შეერთების გამოსახვა. ნაწილების ესკიზები და ნახაზები. შეერთებების ერთეულები. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია.

კურსის ათვისების წინაპირობაა სასკოლო განათლება

კურსის კოდი - TLB0010

არქიტექტონიკა და სტრუქტურა სივრცეში-1 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: არქიტექტონიკური ხელოვნების სახეები და სახესხვაობები. ესკიზიდან სიბრტყეზე ფორმათა გეომეტრიული გაშლა. მოცულობითი ფორმების აგების ძირითადი პრინციპები და კანონზომიერებები. ფაქტურული ზედაპირის მქონე გეომეტრიული ფორმის მოცულობითი სტრუქტურის კომპოზიციის შექმნა. მარტივი კომპოზიცია გეომეტრიულ ფიგურებით ხატვის საწყისი ეტაპი. მანეკენის შექმნა მინიატურაში. მარტივი კომპოზიცია. გეომეტრიული ფიგურებითა და მოფარდვით-ხატვის შუალედური და საბოლოო ეტაპები. გეომეტრიული ფორმების შერწყმა კოსტუმში.

კურსის ათვისების წინაპირობაა „ მხაზველობითი გეომეტრია და ტექნიკური ხატვა“, „გრაფიკა-1“, „გრაფიკა-2“.

კურსის კოდი - TLB0020

არქიტექტონიკა სტრუქტურა სივრცეში-2 (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ესკიზიდან სიბრტყეზე ფორმათა ამორფული გაშლა, ამორფული ფორმების აგების ძირითადი პრინციპები და კანონზომიერებები. ფაქტურული ზედაპირის მქონე გეომეტრიული და ამორფული ფორმის მოცულობითი სტრუქტურის კომპოზიციის შექმნა. ერთფიგურიანი მარტივი ამორფული კომპოზიციის აგება და დამუშავება ტუშით. რთული გეომეტრიული და ამორფული კომპოზიციის შექმნა სიბრტყეზე და დამუშავება წყლის საღებავებით.

კურსის ათვისების წინაპირობაა „არქიტექტონიკა სტრუქტურა სივრცეში-1“ ათვისება.

კურსის კოდი - TTB0420

ქსოვილების მხატვრული გაფორმების ისტორია (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ქართული ხალხური რეწვის განვითარება საქართველოში. ქართული დეკორატიული თექის მოკლე ისტორია. ქართული ეროვნული, დეკორატიული “ლურჯი სუფრის“ ისტორია. მოკლე მიმოხილვა დეკორატიული ფარდაგებისა და ხალიჩების შესახებ. ქსოვილზე მხატვრული მოხატვის ტექნოლოგიები: “ცივი“, “ცხელი“, “კვანძოვანი“ სხვადასხვა ეფექტის მიღების წესი. საუბარი მხატვრული გობელენის ისტორიის შესახებ.

კურსის ათვისების წინაპირობაა სასკოლო განათლება

კურსის კოდი - SEB0370

მენეჯმენტი-1 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: სამეწარმეო საქმიანობასთან და მართვასთან დაკავშირებული საკითხები. თანამედროვე პირობებში საწარმოთა მართვის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები; მეწარმეობა, როგორც სოციალურ-ეკონომიკური სისტემა; მცირე ბიზნესი სამეწარმეო საქმიანობაში; საწარმოო კაპიტალი; კომუნიკაბელურობა მეწარმეობაში; ახალი საწარმოს შექმნა და მისი მართვა; შრომის ანაზღაურების ფორმები და სისტემები; წარმოების დანახარჯების სახეები და კლასიფიკაცია, ხარისხი და მოგება; საწარმოს საგადასახადო სისტემა და მარკეტინგი სამრეწველო საწარმოში. აღნიშნული საკითხების შესწავლა ითვალისწინებს ცოდნის აუცილებელ მინიმუმს, რათა სტუდენტმა შეძლოს კარგად შეითვისოს თანამედროვე მენეჯმენტის საკითხები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა სასკოლო განათლება

კურსის კოდი - SEB0420

მენეჯმენტი-2 (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: მენეჯმენტის თეორიული საფუძვლები, მენეჯმენტის საზღვარგარეთული გამოცდილება, თანამედროვე მიდგომები მენეჯმენტის თეორიისადმი; მენეჯმენტი პრაქტიკაში, მენეჯმენტის დაგეგმვა და მისი სტრატეგიული ასპექტები, მენეჯმენტის

კომპეტენციის მოდელები. მენეჯმენტის ორგანიზება, ცვლილებათა მართვა და ორგანიზაციის განვითარება. საქმიანობის კონტროლი მენეჯმენტში და ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი. ფუნქციონალური მენეჯმენტი, სადაც განხილულია მარკეტინგის, წარმოებისა და კადრების მენეჯმენტი და ბოლოს მენეჯმენტის ფინანსურია სპექტები, რომელიც მოიცავს კომპანიის ანგარიშებს, ბიუჯეტის პროგნოზირებასა და ბიზნეს გეგმას.

კურსის შესწავლის წინაპირობაა „მენეჯმენტი-1“ ათვისება.

კურსის კოდი - TTB0360

ფერთა თეორია (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: ფერი, როგორც ფიზიკური მოვლენა; ფერის მიღების ხერხები; ფერის აღქმის ფიზიოლოგია; ფერის აღქმისა და ზემოქმედების ფსიქოლოგიური ასპექტები; ფერის მეტროლოგია; კოლორიმეტრული სისტემები; ფერის კონტროლის სისტემები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა სასკოლო განათლება.

კურსის კოდი - TLB0260

პროპადევტიკა (5 კრედიტი).

კურსი მოიცავს შემდეგ საკითხებს: პროპადევტიკის არსი, როლი მხატვრობაში, მისი მიზანია ფანტაზიის და გემოვნების ჩამოყალიბება, რომელიც დაფუძნებულია შემდეგზე: გეომეტრიული ფორმების, ლენტური ორნამენტის. ესკიზის შედგენა. კომპოზიციები ქრომატულ ფერებში, აქრომატულ ფერებში. ფერთა გრადაცია. ჰერბარიუმის დამზადება. ჩანახატები. ცხოველური და მცენარეული ორნამენტები, რაპორტული მოჩითვა.

კურსის ათვისების წინაპირობაა „ფერწერა“, „გრაფიკა“, „არქიტექტონიკა და სტრუქტურა სივრცეში“ ათვისება.

საფაკულტეტო არჩევითი კურსები (10 კრედიტი)

კურსის კოდი -HLB0521

ქართული ენის სტილისტიკა და მეტყველების კულტურა (5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ენა და მეტყველება, ენის კულტურა, ენის რაობა, მისი ზოგადი დახასიათება. ქართველური ენები ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები (კილოები). ლიტერატურული ენისა და კილოების ურთიერთმიმართება. ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და მისი განვითარების საფეხურები. ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები, ხმარებიდან გასული ასოები. სტილისტიკა და ენათმცოდნეობის სხვა დარგები. სტილისტიკის საგანი. სტილისტიკის ისტორიიდან. სამი სტილის თეორია. სტილისტიკის შესწავლის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

სტილის რაობა, ნიშნები კლასიფიკაცია, ზედმეტი სატყვეები წინადადებაში. სინონიმები, ანტონიმები, ომონიმები, უცხო სიტყვების შესახებ, არქაიზმი ქართულ ენაში. ქართული ენის სინტაქსისა და მორფოლოგიის საკითხები. სასვენი ნიშნების გამოყენება სტილისტიკური დანიშნულებით.

საქმიანი ქალაქების წარმოება.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: საშუალო სკოლის კურსი.

კურსის კოდი - SFB0401

ფილოსოფია-1 (2.5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: ფილოსოფიის საგანი; ფილოსოფიის როლი და ადგილი კულტურაში; ფილოსოფიის ჩამოყალიბება; ფილოსოფიის ძირითადი მიმართულებები; სკოლები და მისი ისტორიული განვითარების ეტაპები; ფილოსოფიური ცოდნის სტრუქტურა; მოძღვრება ყოფიერებაზე; ყოფიერების მონისტიკური პლიურასტიკული კონცეფცია; ყოფიერების თვითორგანიზაცია; მატერიალური და იდეალური ცნება; სივრცე; დრო, მოძრაობა და განვითარება, დიალექტიკა; დეტერმინიზმი და ინდეტერმინიზმი; დინამიკური სტატიკური კანონზომიერება; მსოფლიოს სამეცნიერო, ფილოსოფიური და რელიგიური სურათები; ადამიანი, საზოგადოება, კულტურა, ადამიანი და ბუნება; საზოგადოება და მისი სტრუქტურა; სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო; ადამიანი სოციალური კავშირების სისტემაში; ადამიანი და ისტორიული პროცესი; პიროვნება და მასა, თავისუფლება და აუცილებლობა;

კურსის შესწავლის წინაპირობაა სასკოლო განათლება.

კურსის კოდი - SFB0441

ფილოსოფია-2 (2.5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: საზოგადოების განვითარების ფორმაციული და ცივილიზებული კონცეფციები; ადამიანური ყოფიერების აზრი; ძალდატანება და ძალდაუტანლობა. თავისუფლება და პასუხისმგებლობა; მორალი, სამართლიანობა, სამართალი; ზნეობრიობის ფასეულობა; წარმოდგენა ჩამოყალიბებულ ადამიანზე სხვადასხვა სტრუქტურაში; ესთეტიკური ფასეულობა და მისი როლი ადამიანურ ცხოვრებაში; რელიგიური ფასეულობა და სინდისის თავისუფლება; ცნობიერება და შემეცნება; თვითყოფადობა და პიროვნება; შემეცნება; შემოქმედება, პრაქტიკა; რწმენა და ცოდნა; გაგება და ახსნა; რაციონალური და ირაციონალური შემეცნებითი მოღვაწეობა; ჭეშმარიტების პრობლემა; სინამდვილე; აზროვნება, ლოგიკა და ენა; მეცნიერული და მეცნიერების გარეშე ცოდნა; მეცნიერების კრიტერიუმები; მეცნიერული შემეცნების სტრუქტურა, მისი მეთოდები და ფორმები; მეცნიერული ცოდნის ამაღლება; მეცნიერება და ტექნიკა, კაცობრიობის მომავალი; თანამედროვეობის თანამედროვე პრობლემები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: ფილოსოფია-1

კურსის კოდი - SWB0291

პოლიტოლოგია-1 (2.5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: პოლიტოლოგიის საგანი, ამოცანები, დანიშნულება; პოლიტიკური მეცნიერების ობიექტი, საგანი და მეთოდები; პოლიტოლოგიის ფუნქცია; ძველი მსოფლიოს პოლიტიკური აზროვნება; შუა საუკუნეების პოლიტიკური აზროვნება; კაპიტალიზმის ეპოქის პოლიტიკური აზროვნება; საქართველოს პოლიტიკური ტრადიციები; სოციო-კულტურული საფუძვლების სათავე; ისტორიული დინამიკა; პოლიტიკის თეორია თანამედროვე ეტაპზე; პოლიტიკა, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, პოლიტიკური ცხოვრება და სახელმწიფო ურთიერთობა; თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში პოლიტიკის როლი და ადგილი; პოლიტიკურ მეცნიერებათა ისტორია; თანამედროვე პოლიტოლოგიური სკოლა; სამოქალაქო საზოგადოება; მისი წარმოშობა და თავისებურებები; პოლიტიკის ინსტიტუციონალური ასპექტები; პოლიტიკური ძალაუფლება (ხელისუფლება); პოლიტიკური სისტემა; პოლიტიკური რეჟიმები.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: სასკოლო განათლება.

კურსის კოდი - SWB0331

პოლიტოლოგია-2 (2.5 კრედიტი)

კურსი მოიცავს შემდეგ თემებს: სახელმწიფო, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი; პოლიტიკური ურთიერთობები და პროცესები; პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები; პოლიტიკური ლიდერობა და პოლიტიკური ელიტა; დემოკრატიის არსი; საარჩევნო სისტემები, პოლიტიკური კულტურა. სოციო-კულტურული ასპექტები პოლიტიკაში; მსოფლიო პოლიტიკა და საერთა-შორისო ურთიერთობები; მსოფლიო პოლიტიკური პროცესების თავისებურება; საქართველოს ნაციონალურ-სახელმწიფოებრივი ინტერესები ახალ გეოპოლიტიკურ სიტუაციებში; პოლიტიკური რეალობის შემეცნების მეთოდოლოგია; პოლიტიკური ცოდნის პარადოგმა; ექსპერტული პოლიტიკური ცოდნა; პოლიტიკური ანალიზი და პროგნოზირება; პოლიტიკური ცნობიერება, პოლიტიკური კონფლიქტი; საერთაშორისო პოლიტიკა.

კურსის შესწავლის წინაპირობაა შემდეგი კურსების ათვისება: პოლიტოლოგია-1

კურსის კოდი - SHB00101

საქართველოს ისტორია (5 კრედიტი)

